პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 242 (10018) | სამშაბათი, 12 ოქტომბერი 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

შეუნელებელი ყურადღება მივაქციოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას

შორს ადარ არის ზამთარი — ყველაზე რთული და ყველაზე პასუხსაგები დრო მეცხოველეობის მეურნეობაში. უზრუნველყოთ პირუტყვი საკვებს საკმარ მარაგით, მოვამზადოთ იგი თბილ, კეთილმოწყობილ სადგომებში, მზრუნველად მოვუაროთ მას — ასეთია პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების პირობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ დროში სოფლის მშრომელებმა ცოტა რამ როდი გააკეთეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მთელ რიგ რაიონებსა და ოლქებში გადიდდა პირუტყვის სულადობა, გაიზარდა მისი პროდუქტიულობა. გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციისაგან.

მაგალითად, ჩელიაბინსკის ოლქის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგი გასული წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე გაიზარდა 11,3 პროცენტით, ცხვრისა — 23,2 პროცენტით და ღორისა — 33 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში ძროხის სულადობა გაიზარდა 20,9 პროცენტით. სამეურნეო წლის 11 თვის მანძილზე ოლქში საშუალოდ თითო ძროხაზე მიღებულია 535 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა ჩერნოვიცის, ვინიცის, ლენინგრადის, რიაზანისა და ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი სხვა ოლქების კოლმეურნეობებში.

მაგრამ ის, რაც გაკეთებულია, — მხოლოდ დასაწყისია. მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიის მიერ მიღებული პროგრამის შესრულების დიდი სამუშაოები ჯერ კიდევ წინ არის. ამ მუშაობის წარმატებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის მომავალ გამოზამთრებას. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება გადამწყვეტად დამოკიდებული იქნება ზამთრის პერიოდში პირუტყვის სწორ შენახვაზე. როგორც ცნობილია, შარშან ზამთარში ზოგიერთი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს პირუტყვის წარმატებით გამოზამთრება, შეურიგდნენ პირუტყვის სიკვდილიანობას. გამოზამთრების ორგანიზაციაში განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებანი იყო საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, სტავროპოლის მხარეში, ყაზახეთის სსრ მთელ რიგ ოლქებში.

გაითვალისწინეს რა გასული წლის გაკვეთილები, მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა კარგად მოემზადნენ ზამთარში პირუტყვის მოვლა-შენახვისათვის. მათ დაამზადეს საკვები ბაგური კვების მთელი პერიოდისათვის, მოამზადეს მეცხოველეობის სადგომები, ფერმებში გაგზავნეს გამოცდილი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა როდია ისეთი რაიონებიც, სადაც კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ მომზადებულან როგორც საჭიროა პირუტყვის გამოზამთრებისათვის, საკმაო რაოდენობით არ დაუგროვებიათ საკვები, არ შეუსრულებიათ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობისა და შეკეთების გეგმები. ავიღოთ, მაგალითად, ყირგიზეთის სსრ, სადაც მეცხოველეობას განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია კოლმეურნეობათა ეკონომიკაში. ყირგიზეთში გასულ ზამთარში იყო პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები საკვების უქონლობისა და ცუდი მოვლა-შენახვის გამო. მაგრამ ეს გაკვეთილი, როგორც ჩანს, დაივიწყეს რესპუბლიკაში. კოლმეურნეობებში კვლავ იჩენენ უდარდელ დამოკიდებულებას მეცხოველეობისადმი. უხეში საკვების დაგროვების გეგმა არ შესრულებულა. ამავე დროს ბევრ რაიონში ფაქტიურად შეწყდა თივის აღებისა და სილოსის ჩადების სამუშაოები, მინდვრებში არ აუღიათ ჩალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ტიან-შანისა და ისიკ-ყულის ოლქებში არ იღებენ ღონისძიებებს სამმმთბარეო საძოვრებზე სადაზღვევო და საკვების მარაგის შესაქმნელად.

ზამთრის დადგომამდე დარჩენილ დროში შეიძლება მკვეთრად გაძლიერდეს და კიდევაც უნდა გაძლიერდეს საკვების დამზადება, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა. იქ, სადაც ამინდი ხელს უწყობს, უნდა გაგრძელდეს აქვიტის თიბვა; თუ ბალახის გახმობა ვერ მოხერხდა, იგი შეიძლება სასილოსედ გამოიყენონ. არაფრით არ არის გამართლებული, რომ თათრეთის ასს რესპუბლიკაში, ტამბოვის, ნოვგოროდის, მოლოტოვის ოლქებში საკვების დამზადების გეგმების შეუსრულებლობისას არსებითად არ შესრულებულა ბალახის მეორედ თიბვა.

წელს ჩვენს ქვეყანაში სილოსი შარშანდელზე მეტია დამზადებული. კარგად გაართვეს თავი დასილოსების სამუშაოს, მაგალითად, ბელორუსიის სსრ რესპუბლიკამ, კრასნოიარსკის მხარემ, კემეროვოს ოლქმა. ამავე დროს ბევრი ოლქი და რესპუბლიკა საკვების დასილოსებას დამაკმაყოფილებლად არ აწარმოებს.

დასილოსების სამუშაოს გასაძლიერებლად უაღრესად ენერგიული ღონისძიებანი უნდა მივიღოთ. აქვიტი, კარტოფილისა და ჭარხლის ფოჩი, ბოსტნეული კულტურების ნარჩენები — აი ამით შეიძლება ჩაიდოს გვიან შემოდგომაზე ასეულ ათასობით ტონა სილოსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა კომბაინით მოსავლის აღებისთანავე დაზვინონ ჩალა, ყაირათიანად აიღონ კალოს მთელი ნარჩენები. მაგრამ ეს მოთხოვნა უველგან ჯეროვნად როდი სრულდება. ბევრ ოლქში ასეულ ათასობით ჰექტარზე ჩალა დაუზვინავია. საჭიროა უახლოეს დღეებშივე ავიღოთ მინდვრებიდან და დავზვინოთ მთელი ჩალა. ეს საკვები რესურსების შევსების მნიშვნელოვანი წყაროა.

გამოზამთრებისათვის მზადებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია პირუტყვის ახალი სადგომების მშენებლობა და არსებული სადგომების შეკეთება და დათბუნება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის გასამრავლებელი და მოზარდეულის შესანახი სადგომების მოწყობას, წყალმომარაგებას და საკვების დამზადების სამუშაოთა მექანიზაციას.

როგორც ფაქტები მოწმობენ, მთელ რიგ რაიონებში მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა ცუდად მიმდინარეობს. მაგალითად, ტიუმენის ოლქის კოლმეურნეობებში მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ მესამედით. სმოლენსკის ოლქის ანდრეევსკოეს, ბატურინის, პონიზოვიეს რაიონებში სამშენებლო სამუშაოთა დიდი მოცულობის პირობებში დღემდე არ აუშენებიათ მეცხოველეობის არცერთი სადგომი.

სოოლქო ორგანიზაციები უნდა გაერკვნენ თვითეული რაიონის საქმის მდგომარეობაში, ხოლო რაიონული ორგანიზაციები — თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობაში და მიიღონ გადაუდებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ პირუტყვი უზრუნველყონ სადგომებით. ამასთან საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენონ დიდი ადგილობრივი შესაძლებლობანი. მაგალითად, ყაზახეთში დღემდე სრულიად უმნიშვნელო ოდენობით იყენებენ ჩალა-კალამს ცხვრის ფარეხების მშენებლობისათვის, თუმცა პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ჩალა-კალმის ფიჩხკონები საუცხოო საშენი მასალაა. ვორონეჟის ოლქის პავლოვსკის რაიონში შეიძინეს უხეტყეოდ მშენებლობის მდიდარი გამოცდილება. განა არ შეიძლება ეს გამოცდილება გამოიყენონ სხვა რაიონებმა და ოლქებმა?

მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში კოლმეურნეობებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ მტს-ებმა. პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება ამჟამად მათი მუშაობის ყველაზე საბრძოლო უბანია. სამწუხაროდ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ზოგიერთ მუშაკს ეს არ ესმის. მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში მონაწილეობას არ იღებენ ბაშკირთის ასსრ დავლეკანოვოს რაიონის მტს-ები, მშენებლობის ადგილებზე მათ მიზიდეს მხოლოდ რამდენიმე ათეული კუბური მეტრი მასალა, ვალდებული კი იყვნენ მიეზიდათ სამი ათასამდე კუბური მეტრი.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ სამმხმარებლო კოოპერაციათა არ ასრულებს თავის ვალდებულებებს კოლმეურნეობებისათვის ხე-ტყის, ცემენტის, სახურავი და სხვა საშენი მასალების მიყიდვის დარგში. ცენტროსოიუზის და ადგილობრივი სამომმხმარებლო კავშირების ხელმძღვანელებმა უაღრესად ენერგიული ღონისძიებანი უნდა მიიღონ, რათა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი კოლმეურნეობათა წინაშე საშენი მასალებით მომარაგების საქმეში.

ჩვენი ქვეყნის ვეელიან რაიონებში ახლა მომდინარეობს მილიონობით სული პირუტყვის გადარეკა ზამთრის საძოვრებზე. გარეკის ყველა ადგილას უნდა შეიქმნას უხეში და კონცენტრირებული საკვების სადაზღვევო მარაგი, მომზადდეს პირუტყვისათვის დახურული სადგომები, ფარდულები და თავშესაფარები ქარბუქისა და ქარიშხლის შემთხვევისათვის. მთელ რიგ ადგილებში ამ გადაუდებელ სამუშაოებს აყოვნებენ. „პრავდის“ კორესპონდენტის ცნობით, სტავროპოლის მხარის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს საკვების საჭირო მარაგის დამზადება, ფარეხების მშენებლობა და შეკეთება შავ მიწებზე, სადაც ზამთარს ატარებენ ნაზმატყლიანი ცხვრის ფარები.

შავ მიწებზე, გარდა სტავროპოლის მხარისა, ცხვარი ჰყავთ როსტოვის, სტალინგრადის, ასტრახანის ოლქების, დაღისტნის ასსრ და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ამ პასუხსაგებ პერიოდში თვითონ მივიდნენ სამმმთბარეო საძოვრებზე, გაერკვნენ იქ საქმის მდგომარეობაში, დასახონ და განახორციელონ ზამთრისათვის მზადების დამთავრების გადაუდებელი ღონისძიებანი.

გამოზამთრებაზე დასაქმებული იქნება მრავალი ათასი კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. პარტიული მუშაკების უპირველესი მოვალეობაა დარაზმონ მეზამთრეთა კოლექტივები, მოაწყონ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება, მოაწესრიგონ გაზეთების, წიგნების მიწოდება, კინოფილმების ჩვენება, რეგულარულად გამართონ მოხსენებები, ლექციები, საუბრები. საჭიროა, რომ სამმთბარეო საძოვრებზე დასაქმებული ადამიანები უზრუნველყოთ თბილი ბინით, ტანისამოსით, კვების პროდუქტებით, სამედიცინო დახმარებით.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მოვალეობაა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება შეახამონ მტკიცე ბრძოლასთან იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უთუოდ შეასრულოს ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. ამ საბრძოლო ამოცანების გადაჭრისაკენ უნდა იყოს მიმართული საბჭოთა სოფლის მშრომელების ღონისძიებანი.

„პრავდის“ 11/X მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ნ. ჰ. ბაჟანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, მწერალი ნიკოლოზ პლატონის-ძე ბაჟანი დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 9 ოქტომბერი.

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოღაპარაკების შესახებ

29 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე ჩინეთში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. მიკოიანის, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ნ. მ. შვერნიკის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის გ. თ. ალექსანდროვის, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის დ. ტ. შეპილოვის, უზბეკეთის სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრის ი. ს. ნასრიდინოვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის ვ. პ. სტეპანოვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის პ. თ. იუდინის შემადგენლობით, რომელიც ჩავიდა ჩინეთის მთავრობის მიწვევით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის ხუთი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა დელეგაციის ყოფნის დროს, ერთი მხრივ, დელეგაციის წევრებსა, და, მეორე მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ ლაის, პრემიერის მოადგილეებსა ჩენ იუნსა, პინ დე ხუაისა, დენ სიაო-პინსა, დენ ძი ხუაისა, ლი ფუ-ჩუნს შორის წარმოებდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ დემ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და სრულიად ჩინეთის [illegible] კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ჩი.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულწრფელ [illegible] გაგების ვითარებაში.

ქვემოთ ქვეყნდება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაციები საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე და იაპონიასთან ურთიერთობის საკითხზე, ერთობლივი კომუნიკე პორტ-არტურის სამხედრო საზღვაო ბაზის საკითხზე, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის არსებულ შერეულ საქმეთა საზოგადოებათა საკითხზე, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების შესახებ, ლანჯოუ-ურუმჩი-ალმა-ატის რკინიგზის მშენებლობის შესახებ.

გარდა ამისა, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის 520 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტის მიცემის შესახებ და ოქმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი სსრ კავშირის მთავრობის დახმარების აღმოჩენის შესახებ დამატებით 15 სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში და წინათ ხელმოწერილ შეთანხმებაში გათვალისწინებული 141 საწარმოსათვის მოწყობილობის მიწოდების მოცულობის გადიდების შესახებ — სსრ კავშირიდან მოწყობილობის დამატებით მიწოდების საერთო ღირებულება აღემატება 400 მილიონ მანეთს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი დეკლარაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავენ, რომ არსებობს შეხედულებათა სრული ერთიანობა როგორც ორივე სახელმწიფოს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის დარგში, რომელიც ვითარდება, ისე აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში.

ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ განვლილ ხუთ წელიწადში საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელიც ემყარება მჭიდრო თანამშრომლობას 1950 წლის 14 თებერვლის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების სრული შესაბამისობით. ამ ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა გულწრფელი მისწრაფება — ურთიერთდახმარება გაუწიონ ერთმანეთს, ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს, მათ შორის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას და ამით ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში გაერთიანებული ერების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

გამოცდილებამ ცხადყო საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დამყარებული თანამშრომლობის დიადი სასიცოცხლო ძალა, რაც მშვიდობისა და უშიშროების საიმედო დასაყრდენია შორეულ აღმოსავლეთში და მნიშვნელოვანი ფაქტორია საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აცხადებენ, რომ სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველია თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ სარგებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემის პრინციპების შესაბამისად.

ორივე მთავრობა ერთსულოვანია თავიანთ მისწრაფებებში და კვლავ მიიღებს მონაწილეობას ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, და კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს ყოველთვის, როცა წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთო ინტერესებს, რათა შეათანხმონ თავიანთი მოქმედება, რომლის მიზანია ორივე სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა, მშვიდობის შენარჩუნება შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

ჟენევის თათბირმა, რომელსაც მოყვა საომარი მოქმედების შეწყვეტა ინდოჩინეთში და შესაძლებელი გახადა მოწესრიგებულიყო მდგომარეობა ინდოჩინეთში ამ რაიონის ხალხთა კანონიერი ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების განხილვაში ყველა დიდი სახელმწიფოს მონაწილეობას, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მთავარ პასუხისმგებლობას აკისრებს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ამ თათბირმა ცხადყო აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეების პოლიტიკის სრული უნიადაგობა, რომლებიც ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ასეთი პოლიტიკა, ისევე როგორც აგრესიის პირდაპირი აქტები, რომლებიც ჩაიდინეს შეერთებულმა შტატებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, და განსაკუთრებით კი შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის — კუნძულ ტაივანის ოკუპაცია, რაც გრძელდება, აგრეთვე ჩინელი ხალხის მტრის ჩან კაი-შის ხროვისადმი სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა — შეუთავსებელია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემცირების ამოცანებთან.

ორივე მთავრობას არანორმალურად მიაჩნია ისეთი მდგომარეობა, როცა კორეა კვლავ გაყოფილია ორ ნაწილად, მიუხედავად იმისა, რომ კორეელი ხალხი ბუნებრივად ესწრაფვის კორეის ერთიან, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ეროვნულ გაერთიანებას. აღიარებენ რა, რომ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას, რომლის გადაჭრასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მშვიდობის განმტკიცებისათვის შორეულ აღმოსავლეთში, წარმოადგენს კორეის გაერთიანება, მათ საჭიროდ მიაჩნიათ უახლოეს მომავალში მოიწვიონ კონფერენცია კორეის საკითხზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა ფართო მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ აგრესიული სამხედრო ბლოკის შექმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რადგან ამ ბლოკს საფუძვლად უდევს მისი ინიციატორების იმპერიალისტური მიზნები, რომლებიც მიმართულია უშინაარეს ყოვლისა აზიის ქვეყნების უშიშროებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისევე როგორც მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონში.

მათ საჭიროდ მიაჩნიათ განაცხადონ, რომ საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის ურთიერთობას აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებთან, კვლავაც ააგებენ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ პატივისცემის, ურთიერთ თავდაუსხმელობის, საშინაო საქმეებში ურთიერთ ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობისა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე, რაც ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ფართო შესაძლებლობას ქმნის.

ორივე მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხისა და მათ შორის აზიის იმ ხალხების ძირეულ ინტერესებს, რომელთა უშიშროება და კეთილდღეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მშვიდობის დაცვის საქმეში სახელმწიფოების ერთობლივ ღონისძიებათა საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავიანთ მხრივ ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის იმ პრობლემების მოწესრიგებას, რომლებიც აზიას შეეხება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი დეკლარაცია იაპონიასთან ურთიერთობის შესახებ

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იაპონიას, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პოტსდამის შეთანხმებით, უნდა მიეღო სრული ეროვნული დამოუკიდებლობა, შეექმნა თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები, განვითარებინა თავისი დამოუკიდებელი სამშვიდობო ეკონომიკა და ეროვნული კულტურა.

მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც მთავარმა მოკუპირებელმა სახელმწიფომ იაპონიაში, რომელსაც ეკისრებოდა ძირითადი პასუხისმგებლობა პოტსდამის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, უხეშად დაარღვიეს ეს გადაწყვეტილებანი და, ფეხქვეშ გათელეს რა იაპონელი ხალხის ინტერესები, თავს მოახვიეს იაპონიას სანფრანცისკოს „საზავო ხელშეკრულება“ და სხვა შეთანხმებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა აღნიშნულ შეთანხმებებს.

ომის დამთავრებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ იაპონიამ ვერ მიიღო დამოუკიდებლობა და კვლავ ნახევრადოკუპირებული ქვეყნის მდგომარეობაშია. მისი ტერიტორია დაფარულია ამერიკის მრავალი სამხედრო ბაზით, რომლებიც შექმნილია იმ მიზნით, რასაც საერთო არა აქვს რა მშვიდობის შენარჩუნებისა და იაპონიის მშვიდობიანი და დამოუკიდებელი განვითარების უზრუნველყოფის ამოცანასთან. იაპონიის მრეწველობა და ფინანსები დამოკიდებულია ამერიკის სამხედრო დაკვეთებზე, იაპონია შეზღუდულია თავისი საგარეო ვაჭრობის დარგში, რაც დამღუპავ გავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე და უმთავრესად მრეწველობის სამშვიდობო დარგებზე.

ყოველივე ამას არ შეუძლია შეურაცხყოფა არ მიაყენოს იაპონელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს, უქმნის იაპონელებს ურწმენობის ატმოსფეროს და ზოგავს იაპონელი ხალხის მრავალფერ უნარს.

იაპონიის ახლანდელი მდგომარეობა კანონიერ საფრთხეს უქმნის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებს, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრესიული გეგმებისათვის, რომლებიც უცხოა როგორც იაპონელი ხალხის ინტერესებისათვის, ისე შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების ამოცანისთვისაც.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ იაპონიასა და იაპონელ ხალხს, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უცხოეთის ინტერესებით ნაკარნახევი აღნიშნული „ხელშეკრულებისა“ და შეთანხმებების შედეგად. მათ სჯერათ, რომ იაპონელი ხალხი იპოვის საკმაო ძალას, რათა დაადგეს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა და თავისი სამშობლოს აღორძინების გზას, სხვა სახელმწიფოებთან და უწინარეს ყოვლისა თავის მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის, ფართო ეკონომიური თანამშრომლობისა და კულტურული კავშირის დამყარების გზას.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები თავიანთ პოლიტიკაში იაპონიის მიმართ ემყარებიან სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, რა კი დარწმუნებული არიან, რომ ეს შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ისინი ემხრობიან იაპონიასთან ფართო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, ურთიერთ სასარგებლო პირობებით, მასთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობის დამყარებას.

ისინი აცხადებენ აგრეთვე, რომ მზად არიან გადადგან ნაბიჯები იაპონიასთან თავიანთი ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით და აცხადებენ, რომ იაპონიას საკუთარი დაუჭერენ მხარს თავის მისწრაფებაში — დაამყაროს პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ისევე როგორც საკუთარი დაუჭერენ მხარს მის ყოველ ნაბიჯს, რომლის მიზანი იქნება მისი მშვიდობიანი და დამოუკიდებელი განვითარების პირობათა უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე

ჩინეთის პორტ-არტურის ერთობლივ სარგებლობაში მყოფი სამხედრო-საზღვაო ბაზიდან საბჭოთა სამხედრო ნაწილების გამოყვანისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულ განკარგულებაში ამ ბაზის გადასვლის შესახებ

ითვალისწინებენ რა შორეულ აღმოსავლეთში საერთაშორისო ვითარების შეცვლას კორეის ომის შეწყვეტასთან და ინდოჩინეთის მშვიდობის აღდგენასთან დაკავშირებით, აგრეთვე მხედველობაში იღებენ რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, საბჭოთა კავშირის მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარებული ურთიერთობის შესაბამისად, რომელიც სულ უფრო მტკიცდება, შეთანხმდნენ რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილები გამოყვანილ იქნებიან ერთობლივ სარგებლობაში მყოფი პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან და ნაგებობანი ამ რაიონში უსასყიდლოდ გადაეცემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

პორტ-არტურის სამხედრო საზღვაო ბაზის რაიონში საბჭოთა სამხედრო ნაწილების გამოყვანასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ნაგებობათა გადაცემასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელება, ორივე მხარე შეთანხმდა დაეკისროს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის გაერთიანებულ სამხედრო კომისიას პორტ-არტურში, რომელიც შექმნილია 1950 წლის 14 თებერვლის შეთანხმების შესაბამისად.

საბჭოთა ჯარების გაყვანა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის პორტ-არტურის სამხედრო საზღვაო ბაზის რაიონში ნაგებობათა გადაცემა დამთავრდება 1955 წლის 31 მაისს.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილის გადაცემის შესახებ

1950-1951 წლებში საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის მთავრობას შორის შეთანხმებით პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ოთხი შერეული საზოგადოება:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიანის პროვინციაში ფერადი და იშვიათი ლითონების მომპოვებელი საზოგადოება,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიანის პროვინციაში ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების საზოგადოება,

ქალაქ დალნში გემების მშენებლობისა და შეკეთების საზოგადოება და სამოქალაქო-საჰაერო ხაზების მოწყობისა და ექსპლოატაციის საზოგადოება.

ეს იყო დრო, როცა ახალგაზრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინაშე იდგა სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანები. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზოგადოებათა შექმნამ შესაძლებელი გახადა მოკლე ვადაში მოწესრიგებულიყო საწარმოთა მუშაობა, რომლებიც ამ საზოგადოებათა შემადგენლობაში შევიდნენ, არსებითად გაფართოებულიყო მათი საწარმოო სიმძლავრე და ამაღლებულიყო საერთო ტექნიკური დონე სამეურნეო მშენებლობის მოწინავე საბჭოთა გამოცდილების გამოყენებით. ამით შერეულმა საზოგადოებებმა თავისი დადებითი როლი შეასრულეს და გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩინეთის ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

ახლა, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც აღადგინა თავისი მეურნეობა, წარმატებით ასრულებს პირველ ხუთწლიან გეგმას, ჩინეთის სამეურნეო ორგანიზაციებმა შეიძინეს საჭირო გამოცდილება და თითონ შეუძლიათ განაგონ შერეულ საზოგადოებებში შემავალ საწარმოთა საქმიანობა, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილი მთლიანად გადაეცემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 1955 წლის 1 იანვრიდან. ამ წილის ღირებულება ანაზღაურებული იქნება მთელი რიგი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირში იმ საქონლის მიწოდებით, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩვეულებრივი ექსპორტის საგანია.

ამრიგად საწარმოები, რომლებიც ამჟამად შედიან საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულ საზოგადოებებში, გახდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთლიანად სახელმწიფო საწარმოები.

ორივე მთავრობას ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ეს მათი გადაწყვეტილება შეესაბამება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დამყარებულ მეგობრობის ურთიერთობას და ხელს შეუწყობს ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას თანასწორობის, ურთიერთდახმარებისა და ერთმანეთის ინტერესების პატივისცემის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე

მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

მოსკოვსა და პეკინში მოლაპარაკება გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. მოლაპარაკება, რომელიც მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დამთავრდა 12 ოქტომბერს. იმით, რომ პეკინში სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ი. მიკოიანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ამხ. ლი ფუ-ჩუნმა.

შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმდნენ, რომ განახორციელონ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის გამოცდილების გაცვლით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ორივე მხარე გადასცემს ერთმანეთს ტექნიკურ დოკუმენტაციას, ერთმანეთს გაუცვლის შესაბამის ინფორმაციას, აგრეთვე მიავლენებს სპეციალისტებს ტექნიკური დახმარების გასაწევად და ორივე მხარის მიღწევათა გასაცნობად მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა მხარეთა მიერ მოხდება უსასყიდლოდ, მხოლოდ დოკუმენტების პირების დამზადებასთან დაკავშირებული ფაქტიური ხარჯების ანაზღაურებით.

თანამშრომლობის განხორციელების ღონისძიებათა შესამუშავებლად და ორივე მთავრობისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მისაცემად შექმნილია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომისია, რომლის შემადგენლობაშიც დანიშნულია სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შვიდ-შვიდი წევრი. კომისიის სხდომები მოიწვევა წელიწადში სულ ცოტა ორჯერ როგრიგობით მოსკოვსა და პეკინში.

შეთანხმება ხელმოწერილია ხუთი წლის ვადით. თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს ერთი წლით ადრე აღნიშნული ვადის გასვლამდე, რომ სურს შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება, იგი ძალაში დარჩება შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმების დადება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ახალი მნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, ისევე როგორც მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე

ლანჯოუ-ურუმჩი-ალმა-ატას რკინიგზის მშენებლობისა და პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ

ურთიერთ ეკონომიური და კულტურული კავშირის განმტკიცების მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმდნენ, რომ ორივე მხარე უახლოეს დროში დაიწყებს რკინიგზის მშენებლობას ჩინეთის ტერიტორიაზე ლანჯოუდან ურუმჩზე გავლით საბჭოთა ტერიტორიაზე ალმა-ატამდე. ამ რკინიგზის მშენებლობას ჩინეთის ტერიტორიაზე კისრულობს ჩინეთის მთავრობა, მშენებლობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კისრულობს საბჭოთა მთავრობა. ჩინეთის ტერიტორიაზე აღნიშნული რკინიგზის მშენებლობის დროს საბჭოთა მთავრობა ყოველ მხრივ ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ჩინეთის მთავრობას. ამ რკინიგზის უბნის მშენებლობა ლანჯოუდან იუმინამდე ჩინეთის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო 1953 წელს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი კომუნიკე ძინინიდან ულან-ბატორამდე რკინიგზის მშენებლობისა და პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა, მათ შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, 1952 წლის 15 სექტემბერს დადეს შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძინინიდან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ულან-ბატორამდე რკინიგზის მშენებლობის შესახებ. აღნიშნული რკინიგზა შეუერთდება ულან-ბატორიდან საბჭოთა ტერიტორიამდე მიმავალ რკინიგზას. რკინიგზის მშენებლობას ძინინიდან ერლიანის გავლით ჩინეთის საზღვრამდე კისრულობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რკინიგზის მშენებლობას ულან-ბატორიდან ძამინ-უდეს გავლით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრამდე კისრულობენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. ხელშეკრულების დამდები სამივე მთავრობა შეთანხმდა მთლიანად დაამთავროს აღნიშნული რკინიგზის მშენებლობა და შეერთება და მოაწყოს პირდაპირი მიმოსვლა 1955 წელს.

გავაძლიეროთ ათეისტური პროპაგანდა, მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური ცხოვრების წესები

კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ამ დღეებში შედგა კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც 700-ზე მეტი ახალგაზრდა დაესწრო. კრებამ მოისმინა საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. თენიეშვილის მოხსენება ახალგაზრდობის შეგნებაში რელიგიურ ცრურწმენათა აღმოფხვრისა და სოციალისტური ცხოვრების წესების პროპაგანდის საქმეში ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა, განაცხადა მომხსენებელმა, — განუხრელად დაკავშირებულია ადამიანის შეგნებაში ბურჟუაზიული გადმონაშთების, ყოველგვარი რელიგიური ცრურწმენის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ამ ბრძოლაში ადამიანთა შეგნებიდან ბურჟუაზიული გადმონაშთების აღმოფხვრისა და ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი როლს ასრულებს ლენინური კომკავშირი. როგორც მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, აჭარის კომკავშირულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ ანტირელიგიურ პროპაგანდაში. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა რელიგიურ ცერემონიალში მონაწილეობენ არა მარტო მოხუცები, არამედ ახალგაზრდებიც. ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გოხაძემ თავისი და კომკავშირს მოსწყვიტა და ჩადრი მოახვია. ჩადრს ატარებენ არა მარტო კოლმეურნე ახალგაზრდები, არამედ მოსწავლე ახალგაზრდებიც. მაგალითად, ამავე რაიონის სოფელ ტუნაძეების 8-წლიანი სკოლის გოგონები გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჩადრს იბურავენ. სკოლის დირექტორი რ. ვანაძე ამას გულდამშვიდებით შესცქერის. უფრო მეტიც: თვით ნ. ვანაძის ოჯახის წევრებიც ჩადრს ატარებენ. ქედის რაიონში ცრუმორწმუნეთა შორის აღმოჩნდა სოფელ ხარაულის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი კომკავშირელი ოთარ ჭინჭარეიშვილი.

ჯერ კიდევ მთლიანად აღმოფხვრილი არ არის მცირეწლოვანთა დაქორწინების შემთხვევები. ერთი თვის წინათ მშობლებმა დააქორწინეს ხულოს რაიონის სოფელ დარჩიძეების 8-წლიანი სკოლის მოსწავლე, 14 წლის ზ. ცეცხლაძე, რომელსაც ცოლად შერთეს იმავე კლასის, იმავე ასაკში მყოფი გოგონა გ. ფუტკარაძე. შუახევის რაიონის სოფელ შუბანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ბოლქვაძემ თავის ქალიშვილს წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლოდა ხ. ცეცხლაძის მცირეწლოვან ვაჟს. როცა ქალიშვილი მამის სურვილს არ დამორჩილდა, მამამ იგი სახლიდან გააძევა.

უკანასკნელ პერიოდში გახშირდა ბავშვთა მონათვლა რელიგიური წესით. წელს ბათუმის რაიონის სოფელ კირნათში ამ წესით 8 ბავშვი მონათლეს. სამწუხაროდ, რელიგიური წესით ბავშვი მონათლა კომუნისტმა ჯემალ მუთიძემ. მსგავსი შემთხვევები იყო ხულოს რაიონის სოფლებშიც.

საზოგადოებისათვის არანაკლები ზიანი მოაქვს კაპიტალიზმის ისეთ საზიზღარ გადმონაშთებს, როგორიც არის ლოთობა, ქურდობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვა შემთხვევები. სხვა მიზეზებთან ერთად ლოთობას ხელს უწყობს უწესრიგობა აჭარის სავაჭრო ორგანიზაციებში, რომლებიც არ იცავენ მაგარი სასმელებით ვაჭრობის წესებს. სასაუზმეებში, მუშათა ბუფეტებში, საჩაიეებში ხშირად შეხვდებით ალკოჰოლიან სასმელებს. განა შესაწყნარებელია, რომ მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეთა სასადილოში ვერასოდეს ვერ იშოვნით ლიმონათს, გამგრილებელ წყლებს, მაშინ როცა შესვლისთანავე თვალში გეცემათ არყის, ლიქიორის, კონიაკის ბოთლები?!

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მამულაძემ.

კრების შემდეგ მთა რაიონებიდან ჩამოსული აქტივისტები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, დათვალიერეს რევოლუციური მუზეუმი, შავიზღვისპირა პარკი, მოისმინეს ლექცია ალკოჰოლიანი სასმელების, რელიგიის ცრურწმენათა მავნე შედეგების შესახებ.

სტუმრად კასპელ მშრომელებთან

ლენინის ორდენოსანმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა, რომელიც კულტურულ მომსახურებას უწევს კასპის რაიონის მშრომელებს, ამ დღეებში კასპის სარაიონო კულტურის სახლში გაართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის საბალხო არტისტმა თ. ჭავჭავაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ე. აფხაიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ი. ჯავახიშვილმა და გ. კიკნაძემ, მსახიობებმა ე. დუგლაძემ, შ. ჩხიკვაძემ, კ. საკანდელიძემ, ირ. უჩანეიშვილმა და სხვებმა.

კონცერტის მთელი შემოსავალი თეატრმა გადასცა კულტურის სახლს სცენის მოწყობილობის გასაუმჯობესებლად.

თეატრის სამი მსახიობი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. ხუციშვილი, ი. ჯავახიშვილი და მსახიობი გ. ასიტაშვილი თეატრმა რამდენიმე დღით მიავლინა კასპის რაიონის სოფლებში თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივებისათვის კონსულტაციის გასაწევად.

რას გვასწავლის პოლიტიკური ეკონომია

პოლიტიკური ეკონომია მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. იგი მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის მძლავრი იდეური იარაღია იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის მათს ბრძოლაში. მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორია პარტიას, ჩვენს კადრებს აძლევს საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით, შესაძლებლობას აძლევს მათ სწორად უხელმძღვანელონ სახალხო მეურნეობას, წარმატებით გადაჭრან კომუნისტური მშენებლობის ორსებითი საკითხები. იგი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს უნათებს ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნის გზებს.

I.

პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონების შესახებ ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მისი შესწავლის საგანია ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი ანუ ეკონომიური ურთიერთობა. „პოლიტიკური ეკონომია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სწავლობს... ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობას წარმოების დარგში, წარმოების საზოგადოებრივ წყობას“.

მოცემული წყობილების წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი უშინარეს ყოვლისა დამოკიდებულია წარმოების საშუალებათა საკუთრების გაბატონებულ ფორმაზე. წარმოების საშუალებათა კერძო კაპიტალისტური საკუთრება გარდუვალად წარმოშობს კაპიტალისტებს მიერ მუშების ექსპლოატაციის ურთიერთობას და კაპიტალისტებს შორის გააფთრებულ საკონკურენციო ბრძოლას უმაღლესი მოგების მიღებისათვის. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება საფუძველია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობისა, რომლისთვისაც უცხოა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და რომელსაც ამხანაგური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ახასიათებს.

პოლიტიკური ეკონომია სწავლობს წარმოების ურთიერთობას საწარმოო ძალებთან მის ურთიერთმოქმედებაში. საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრული დონე განაპირობებს წარმოებითი ურთიერთობის ისეთ ტიპს, რომელიც მას შეესაბამება. თავის მხრივ ახალი წარმოებითი ურთიერთობა აქტიურ ზეგავლენას ახდენს საწარმოო ძალებზე, მათი შემდგომი განვითარების მთავარი მამოძრავებელია.

„წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა, — აღნიშნავს კ. მარქსი, — შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზეც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება“. ზედნაშენი, რომელიც გარკვეული ბაზისის მიერ არის წარმოშობილი, აქტიურ ზეგავლენას ახდენს მასზე, ეხმარება მის განმტკიცებას, ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას. ამიტომ პოლიტიკური ეკონომია წარმოებითის ურთიერთობას, საზოგადოების ეკონომიურ ბაზისს აგრეთვე ზედნაშენთან ურთიერთმოქმედებაში სწავლობს.

სწავლობს რა ადამიანთა ურთიერთობას წარმოების პროცესში, პოლიტიკური ეკონომია ეხება ადამიანების, სხვადასხვა კლასების, საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან, ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს და თვითონ წარმოადგენს მწვავე კლასობრივი ბრძოლის ასპარეზს. ამის გამო არ არის და არც შეიძლება იყოს ერთიანი პოლიტიკური ეკონომია. არსებობს რამდენიმე პოლიტიკური ეკონომია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, პროლეტარული პოლიტიკური ეკონომია და შუალედი კლასების პოლიტიკური ეკონომია — წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია.

ამ პერიოდში, როცა ბურჟუაზია აღმავალი კლასი იყო, როცა იგი იბრძოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ და მისი კლასობრივი ინტერესები თანხვდებოდა საზოგადოების ეკონომიური განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებას, წარმოიშვა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, რომელიც თავისი დროისათვის პროგრესული იყო.

მაგრამ რაც უფრო ვითარდებოდა კაპიტალიზმი და ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლა, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია სულ უფრო კარგავდა მეცნიერულ ხასიათს და კაპიტალისტური წყობილების აშკარა აპოლოგეტიკის გზაზე დგებოდა.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია მონოპოლისტური კაპიტალის, ფინანსური ოლიგარქიის მსახურად გადაიქცა. ამერიკის ყველაზე რეაქციული და აგრესიული მონოპოლისტური კაპიტალი მას აქტიურად იყენებს როგორც იდეოლოგიურ იარაღს აღვირახსნილი კაპიტალისტური ექსპლოატაციის, იმპერიალისტური აგრესიის და ახალი მსოფლიო ომის მომზადების გასამართლებლად.

ნამდვილად მეცნიერული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ კლასის პოლიტიკური ეკონომია, რომლის ინტერესები თანხვდება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მიმდინარეობას, უერთდება კაპიტალისტური მონობისაგან საზოგადოების განთავისუფლების ინტერესებს, კაცობრიობის პროგრესული განვითარების ინტერესებს. ასეთი კლასი მუშათა კლასი. ამიტომ პროლეტარული პოლიტიკური ეკონომია ზუსტ და უმაღლეს მეცნიერულობასთან.

ნამდვილად მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია შექმნილია მუშათა კლასის გენიალური ბელადებისა და თეორეტიკოსების მარქსის, ენგელსის, ლენინის მიერ. მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებზე დაყრდნობით დიდმა სტალინმა წამოაყენა და განავითარა პოლიტიკური ეკონომიის მთელი რიგი ახალი დებულებანი.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის მძლავრი მაორგანიზებელი და დამრაზმავი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მან აღმოაჩინა საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონები, დაამტკიცა კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად რევოლუციური გადაქცევის გარდუვალობა. იგი იდეურად აიარაღებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და მის ავანგარდს — კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში, იგი მშრომელ მასებს აძლევს პერსპექტივის სიცხადეს, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიური თეორია შემოქმედებითი მეცნიერებაა. მისთვის უცხოა დოგმატიზმი და სქოლასტიკა. იგი თავის შემდგომ განვითარებას იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მომქმ კომუნისტური პარტიების ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ამ პარტიების ხელმძღვანელობა შრომებში, რომლებიც მას ამდიდრებენ ახალი დასკვნებითა და დებულებებით რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორიის ძირითადი საკითხები ჰეპულარულად გადმოცემულია პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში, რომელიც ამას წინათ გამოუშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა.

II.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორია არის კანონზომიერი პროცესი საზოგადოების განვითარებისა დაბალი ფორმებიდან უმაღლესი ფორმებისაკენ. ამ განვითარებას საფუძვლად უდევს ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური კანონები. თვითეული საზოგადოებრივი ფორმაცია განსაზღვრული საფეხურია კაცობრიობის წინსვლაში. მეცნიერებისათვის ცნობილია ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია: პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, კომუნისტური.

ისტორიული განვითარების გამოცდილება ცხადყოფს, რომ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმაციები პროგრესულ როლს ასრულებენ თავიანთი განვითარების მხოლოდ პირველ ხანებში. მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური ფორმაციების წარმოებითი ურთიერთობა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ხელს უწყობდა საწარმოო ძალების ზრდას, ხოლო შემდეგ მათ ბორკილად იქცეოდა. მაშინ იმ კანონის ძალით, რომ წარმოებითი ურთიერთობა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო ძალების ხასიათს, გარდუვალი ხდებოდა ძველი საზოგადოებრივი ფორმაციის შეცვლა ახალი ფორმაციით. სოციალისტურ რევოლუციამდე ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის შეცვლა ახალი ურთიერთობით ნიშნავდა არსებულ ექსპლოატატორთა ძალაუფლების შეცვლას სხვა ექსპლოატატორების ძალაუფლებით. ექსპლოატაციის ფორმების შეცვლას. საზოგადოებრივი განვითარების მთელი მსვლელობის განზოგადებით პროლეტარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მეცნიერულად დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებული უკანასკნელი საზოგადოებრივი წყობილებაა.

პოლიტიკური ეკონომია აიშკარავებს კაპიტალისტური წყობილების განუკურნებელ წულულებსა და მანკიერებას, გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი გადაუჭრელი წინააღმდეგობანი გამომდინარეობენ კაპიტალიზმის არსიდან, მისი ეკონომიური განვითარების კანონებიდან.

მეცნიერულად აყალიბებს რა კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს, პოლიტიკური ეკონომია ცხადყოფს, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანია ზედმეტი ღირებულების, უმაღლესი მოგების მიღება. სიმდიდრის შემქმნელები არიან მშრომელი მასები, ხოლო მათი შრომის ნაყოფს ექსპლოატატორები ითვისებენ. უმაღლესი მოგების მისაღებად კაპიტალისტები სულ უფრო აძლიერებენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას, აჩანაგებენ გლეხობას, იმონებენ და ძარცვავენ კოლონიერ და დამოკიდებულ ხალხებს. კაპიტალისტური საკუთრების ქვეყნებში განუწყვეტლივ იზრდება ხალხის მასების გაღატაკება.

კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია წარმოების ანარქია, ეკონომიური კრიზისები, ეკონომიური კრიზისები პერიოდულად არყევენ კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობას. იწვევენ საწარმოო ძალების უდიდეს ნგრევას, აუარაცხელი უბედურება მოაქვთ მშრომელებისათვის, წარმოადგენენ კაპიტალიზმის ისტორიულ განწირულობის ყველაზე მკაფიო მაჩვენებელს.

იმპერიალიზმის პირობებში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, კაპიტალისტური სისტემის ყველა შინაგანი წინააღმდეგობა განსაკუთრებით მწვავდება, ძლიერდება პარაზიტიზმი და ეკონომიკის ლპობა, შეუჩერებლად იზრდება მეურნეობის მილიტარიზაცია, იწყება მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის თანდათანობითი დაშლა.

იმპერიალიზმის ეპოქაში უკიდურეს ზღვარს აღწევს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის წინააღმდეგობა. კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა სულ უფრო და უფრო აფერხებს საწარმოო ძალების მოძრაობას. კაპიტალიზმის ეკონომიური განვითარების მთელ მსვლელობას მუშათა კლასი მიჰყავს უშუალოდ სოციალისტურ რევოლუციამდე. იმპერიალიზმის ეპოქა, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქა არის ეპოქა სოციალისტური რევოლუციებისა, ძმათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებით პოლიტიკური ეკონომია გვიჩვენებს, თუ რა გზით შეუძლიათ კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებს განთავისუფლდნენ ექსპლოატატორთა ულტისაგან, მიაღწიონ თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას.

აიშკარავებს რა სოციალისტური რევოლუციებისა და ჩაგრულ ხალხთა მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ღრმა ეკონომიურ ფესვებს, მარქსისტული ეკონომიური თეორია უდავოდ ამტკიცებს, რომ თანამედროვეობის ეს დიდი მოძრაობანი ხდება არა კომენისტი აგიტატორების „მზაკვრული“ მოქმედების შედეგად და ექსპორტით კი არ იგზავნება სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან, არამედ ჩნდება კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მომწიფებულ შინაგან მოთხოვნილებათა გამო.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ თანამედროვე მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა ისტორიულად ამოწურა თავისი თავი, გადაიქცა რეაქციულ ძალად. რომელიც აფერხებს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი პროცესი ისეთივე გარდუვალობით იწვევს კაპიტალიზმის შეცვლას სოციალიზმით, როგორითაც დღე მოსდევს ღამეს.

მაგრამ სოციალიზმის გამარჯვება თვითდინებით როდი მოდის. იგი შეიძლება მოპოვებულ იქნას მხოლოდ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის შედეგად, რომელებსაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატი თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების მეთაურობით.

III.

პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, თუ როგორ უნდა გარდაქმნას სოციალისტურ საფუძვლებზე ეკონომიკა, რომელსაც მუშათა კლასი მეტ-ეკიდრეობად იღებს წარსულისაგან. იგი იძლევა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის გზებისა და მეთოდების მეცნიერულ დასაბუთებას. სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია სწავლობს კანონებს, რომლებიც განაგებენ სოციალისტური საზოგადოების წარმოებითს ურთიერთობას მის წარმოშობაში, განვითარებაში, მის მოძრაობაში კომუნისტური ფაზისაკენ.

განზოგადებს რა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების შექმნის გამოცდილებას და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას, პოლიტიკური ეკონომია გადაგვიშლის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შინაარსს. იგი გვიჩვენებს, ამ პერიოდში როგორ ხდება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის შეცვლა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით. სოციალისტური წყობილების წარმოშობისა და განვითარების და კაპიტალისტური ურთიერთობის ლიკვიდაციის შემდეგ ძალას კარგავენ და სცენიდან ჩამოდიან კაპიტალიზმის ეკონომიური კანონები. ჩნდებიან და ვითარდებიან სოციალიზმის ეკონომიური კანონები.

მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტურ მშენებლობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის, გლეხობასთან მუშათა კლასის მტკიცე კავშირის საჭიროების დასაბუთებას. ემყარება რა იმ კანონს, რომ წარმოებითი ურთიერთობა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო ძალების ხასიათს, და ითვალისწინებს რა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს, პოლიტიკური ეკონომია იძლევა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მოლეონობით გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის პოლიტიკის დასაბუთებას. იგი არკვევს კლასობრივი ბრძოლის კანონებს გარდამავალ პერიოდში.

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორიიდან, მეცნიერულად განზოგადებული საბჭოთა გამოცდილებიდან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები იძენენ გარდამავალი პერიოდის კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნას. იმის ცოდნას, თუ როგორ მიაღწიოს მუშათა კლასმა გლეხობასთან ურღვევ მეგობრობას და მტკიცე კავშირს, როგორ განამტკიცოს ეკონომიური კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, როგორ მიაღწიოს გამარჯვებას ექსპლოატატორულ კლასებზე და ააშენოს სოციალისტური საზოგადოება.

ამასთან ერთად მარქსისტული ეკონომიური თეორია გვასწავლის, რ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲐᲡᲬᲝᲠᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

სასასწორო მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის საქმეში. ამიტომ წონა-ზომის იარაღების წესრიგზე ყოფნას, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტზე, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ამ მხრივ ვერ არის სახარბიელო მდგომარეობა.

დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს: სადგურ ქუთაისი პირველის სასწორზე აწონილი ვაგონები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტში იგზავნებიან, არ გამოდიან ისეთი წონისა, როგორც აღნიშნულია გაგზავნის დოკუმენტებში. მაგალითად, ქუთაისის წისქვილ-ქარხნიდან 10 მაისს გაგზავნილ ფქვილით დატვირთულ ვაგონზე (№ 805448) სამტრედიაში შეადგინეს კომერციული აქტი, რომელშიც აღნიშნულია 845 კილოგრამი ფქვილის დანაკლისი. იმავე თარიღით შედგენილ მეორე აქტში კი ნაჩვენებია 805 კილოგრამი ფქვილის მატება. ვაგონი სავსებით წესიერულ მდგომარეობაში იყო, ნაშასადამე, მიზეზი აწონის არასიზუსტეში უნდა ვეძიოთ. ასეთი ხასიათის სხვაობა ხშირია ქუთაის პირველიდან გაგზავნილ ვაგონებში. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

წონაში ასეთი სხვაობა იმის შედეგია, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და საქართველოს სახელმწიფო ზომა-წონის სამმართველო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რკინიგზის ტრანსპორტზე საწონ-საზომი მეურნეობის მდგომარეობას, მისი სიზუსტის უზრუნველყოფას.

კ. ფხაკაძე.

—⊙—

ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

რედაქციაში გამოგზავნილ კორესპონდენციაში ავტორი წერდა: ზუგდიდის სავაჭრო ქსელში არღვევენ საბჭოთა გაჭრობის წესებს, საკოლმეურნეო ბაზარში სპეკულანტები თარეშობენ.

კორესპონდენცია ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომს გადაეგზავნა. რაიკომის მიურომ განიხილა საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების მუშაობა. განყოფილების მმართველი ჯიქია, უფროსი საქონელმცოდნე ბოკუჩავა სავაჭრო ობიექტების მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და დანაშაულებრივი მოქმედებისათვის მოხსნა თანამდებობიდან და მასალები მათ შესახებ გადასცა პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად. დასახულია ღონისძიებანი ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

რაიკომის მიურომ საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორს ამხ. შამუგიის მოუქნელი მუშაობისათვის დაადო პარტიული სასჯელი. დასახულია ღონისძიებანი ბაზარში სპეკულაციის სალიკვიდაციოდ.

ᲮᲕᲜᲐ-ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘ

ზნაურის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს წლიდან წლამდე საშემოდგომო ხორბლის უხვი, მყარი მოსავალი მოჰყავთ. სოფლების ველების, ქვათეთრის, ძველთის, იონჩრისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელების მინდვრებზე ნიადაგის კარგად დამუშავებისა და აგროტექნიკური წესების დაცვის შემთხვევაში პურის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 25-30 ცენტნერს უდრის.

საფიქრებელი იყო, რომ წელს რაიონში კარგად მოემზადებოდნენ თესვისათვის, წარმატებით მოაწყობდნენ ამ კამპანიას, მტკიცე საფუძველს ჩაუყრიდნენ მომავალი წლის უხვ მოსავალს. მაგრამ ასე როდი მოხდა. აქ ნაკლებია ზრუნვა 1955 წლის მოსავლისათვის. რაიონში ხვნა-თესვა თუმცა დროულად, მაგრამ არაორგანიზებულად დაიწყო და ასევე მიმდინარეობს.

სოფლებში იონჩაში, ოჯორასა და სამწყაროში 10 სექტემბრისათვის, როცა სხვა კოლმეურნეობებში თესვა გაჩაღდა, თესლის გაწმენდაც კი არ იყო დაწყებული. 1 სექტემბრისათვის რაჭონის კოლმეურნეობებს საჭირო 6.091 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 2.850 ცენტნერი კონდიციური სათესლე მასალა ჰქონდათ. აკლდათ 2.000 ცენტნერამდე სათესლე ხორბალი.

ხვნა-თესვა განსაკუთრებით გაჭიანურდა სოფლების ბალთის, ნულის, ველების, ბეყმარის კოლმეურნეობებში. სოფელ ბალთის კოლმეურნეობაში წელს უნდა მოიხნას და დათესოს 95 ჰექტარი. დათესილია მხოლოდ 4 ჰექტარი. ფრინველის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 250 ჰექტარიდან დათესილია 100 ჰექტარი, ოჯორის კოლმეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 40 ჰექტარიდან დათესეს 15 ჰექტარი და თესლის უქონლობის გამო თესვა შეაჩერეს. ამავე მიზეზთა თესვა არ მიმდინარეობს სოფელ ბეყმარის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში. გულგრილობით უნდა აიხსნას, რომ სოფლების ავნევის, ნულის, ველების, იონჩის და სხვა კოლმეურნეობებში დღემდე საკმაო რაოდენობით არა აქვთ კონდიციური თესლი, თუმცა სათესლე ხორბალი ადრევე შეინახეს. ავნევის კოლმეურნეობაში კონდიციამდე აყვანილი არ არის 300 ცენტნერი თესლი, ფრინველის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში — 80 ცენტნერი, ბეყმარის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში — 200 ცენტნერი და ა. შ.

სუსტად მუშაობს ზნაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. 21 ტრაქტორიდან ყოველდღიურად მინდვრად არის და სამუშაოს ასრულებს 10-12 ტრაქტორი. იშვიათი როდია, როცა ტრაქტორები უქმად დგას დაბალხარისხოვანი რემონტის, საწვავის უქონლობის გამო და სხვა მიზეზებით. ველების კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ტრაქტორი გაჩერდა, მას წინაღერძი გაუტყდა. ტრაქტორისტს ბუთერიშვილს მტს-ი დროულად ვერ დაეხმარა. მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს, დიდ დროს კარგავს ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში გადასასვლელად. საწვავი არ მიაქვთ და ამის გამო ხშირად ტრაქტორები მომცდარია. ამ ბრიგადის „დტ-54“ მარკის ორი ტრაქტორი ორი დღის ლოდინის შემდეგ ბეყმარის კოლმეურნეობიდან, სადაც საწვავი არ მიუტანეს, ვახტანის კოლმეურნეობაში გადავიდა, მაგრამ იქაც მთელი დატვირთვით ვერ მუშაობს საწვავის შეფერხებით მიწოდების გამო. ტრაქტორების მოცდენის ფაქტები სოფლების იონჩის, ფრინველისა და ბეყმარის კოლმეურნეობებშიც იყო.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თესლის დამხარისხებელი მანქანები. სოფელ ძველთის ეხელესის სახელობის კოლმეურნეობაში სამ დღეს იყო გაჩერებული მძლავრი მანქანა „ვიმ“. შეფერხებებით მუშაობს და ხშირად მომცდარია ასეთი მანქანები ავნევის, ზნაურისა და იონჩის კოლმეურნეობებშიც. „ვიმ“-ის შეფერხების მუშაობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მათი რემონტი დაბალხარისხოვნად შესრულდა. ჯერ კიდევ ადრე, როცა თესვა დაიწყეს, მტს-ს თესლის დამხარისხებელი ოთხი მანქანა შეუკეთებელი ჰქონდა. მტს-ის დირექცია (დირექტორი მ. ნაცვლიშვილი) საერთოდ სუსტად ხელმძღვანელობს სატრაქტორო ბრიგადების მუშაობას, არ იცნობს ადგილებზე შექმნილ მდგომარეობას. ამიტომ ზოგჯერ ტრაქტორისტები სამუშაოს დაბალხარისხოვნად ასრულებენ, საწარმოო დავალებები გაუნაღდებელი რჩება.

ხვნა-თესვა განსაკუთრებით ჭიანურდება იმ კოლმეურნეობებში, სადაც სამუშაოებს მუშა პირუტყვით ასრულებენ. ტრაქტორების მოლოდინში თესვის სამუშაოები ჩამორჩენილია სოფლების ბალთის, ყორნისის, წნელისისა და ქალეთის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა გამგეობები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ენერგიულ ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ მთელი მუშა პირუტყვი გადაიყვანონ ხვნა-თესვაზე. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სუსტად ხელმძღვანელობენ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. არ იგრძნობა ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, ნაკლებია ბრძოლა მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის. როდემდის გაგრძელდება ასე?

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა 9 ოქტომბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს. ჯვარედინად და ვიწრო იწკრიეტად დათესა მთელი ფართობის 65 პროცენტი. კოლმეურნეობებმა და მტსებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით 20 ოქტომბრამდე დათესონ ორი ათასი ჰექტარი ხორბალი.

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ოქტომბრისათვის 102,9 პროცენტით გაანაღდეს საშემოდგომო თესვის დავალება. გადაჭარბებით შესრულდა ჯვარედინად თესვის გეგმა. თესვა გრძელდება.

ᲯᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ამ დღეებში საძირკველი ჩაეყარა ჯავის კულტურის სახლს. მის მშენებლობაზე დაიხარჯება მილიონნახევარი მანეთი. კულტურის სახლის ახალ შენობას ექნება კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, ოთახები თვითმოქმედი წრეებისათვის.

მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მომავალი წლის მესამე კვარტალში.

ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲙᲘᲜᲝ ᲗᲛᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

უკანასკნელ ხანებში ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ გამოაყო ორი მოძრავი კინოდანადგარი თმის სოფლების მშრომელთა მომსახურებისათვის. ისინი ხშირად უჩვენებენ ახალ კინოსურათებს მთის სოფლების კოლმეურნე მწყემსებს. ამ დღეებში კავკასიონის უღელტეხილზე მდებარე სოფლების ერმანის, ედისის, ზღუბირის, როკის კოლმეურნეებს უჩვენეს კინოსურათები „დაუვიწყარი 1919 წელი“, „მონადირეები“, „ბერლინის დაცემა“ და სხვ.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲣᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲛᲗᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სოფელ წრუს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში გაცხოველებით ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის. კოლმეურნეებმა ბუნებრივი სათიბებიდან 2.860 ცენტნერის ნაცვლად 4.280 ცენტნერი თივა დაამზადეს, 120 ტონის ნაცვლად ჩადეს 220 ტონა სილოსი. პირუტყვის სადგომებთან მიზიდულია 2.000 ცენტნერი ნამჯა. ამას გარდა შეძენილია 30 ტონა კომბინირებული საკვები.

კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადამ შეაკეთა პირუტყვის სადგომები. ისინი დათბუნებული არიან. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დამთავრდება ტიპური სადგომის მშენებლობა 100 სული ძროხისათვის.

ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲒᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲒᲐ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის აწყობს ახალ მემინდვრეობის საცდელ სადგურებს და საცდელ მინდვრებს, რომლებისთვისაც სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს „საქსახპროექტს“ შემუშავებული აქვს შენობათა ტიპური პროექტები. ახალი საცდელი სადგური შენდება შირაქში, ხოლო საცდელ მინდვრები ეწყობა ხელეთუბანში, ჭალადიდში, მშვიდობიანში, სართიჭალაში, აგრეთვე თელავისა და ახალციხის რაიონებში.

შირაქში საცდელ სადგურთან უკვე შენდება ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, კაბინეტები, ლაბორატორიები სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის და დამხმარე სათავსოები. აქ აიგება საწარმოო დანიშნულების შენობები — 100 ტონის ტევადობის მარაცლის შესანახი საწყობი, სამჭედლო, სადურგლო სახელოსნო, დამხმარე ნაგებობანი — საწვავ-საცხები მასალის, მინერალური და ორგანული სასუქების შესანახი საწყობები, საჯინიბო და სხვ. საცდელ მინდვრებთან აიგება შენობა ადმინისტრაციისათვის, საწარმოო და დამხმარე ნაგებობანი.

საცდელ სადგურებსა და საცდელ მინდვრებთან მუშა-მოსამსახურეთათვის გათვალისწინებულია საცხოვრებელი ზონის მოწყობა, სადაც აიგება საცხოვრებელი სახლები, ერთ და ორბინიანი კოტეჯები, სასადილო, აბანო და სხვ.

თვითეული საცდელი სადგურის აგება დაჯდება 2,5 მილიონი მანეთი, ხოლო საცდელი მინდვრის მოწყობა 1,2 მილიონი მანეთიდან 1,5 მილიონ მანეთამდე.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜ Ა. Დ. ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ — ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

9 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. დ. გიორგაძემ სადილი გამართა ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: ლორდი კოულრეინი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ნეს ედვარდსი (დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე), ჰერცოგი ველინგტონელი, ლორდი ლისტოუელი, ჩარლზ მოტ-რედკლიფი, ოტო პრაიორ-პალმერი, ელეინ ბერტონი, სტენლი ევანსი, ჯორჯ უიგი და დელეგაციის მდივანი ბენეტი.

სადილზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. კუპრავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. ქვლივიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ა. ლ. გუნია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. დ. ეპიტაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ი. ბ. აბაშიძე, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვ. დ. კუპრაძე, გაზეთი „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ი. ი. ჩხიკვიშვილი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. ნ. ჟღენტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი ბ. ვ. ლორთქიფანიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი უ. მ. ჯიფარიძე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ა. დ. გიორგაძემ და ლორდმა კოულრეინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

10 ოქტომბერს თბილისიდან სოჭში გაფრინდა ინგლისის პარლამენტის წევრთა დელეგაცია ლორდ კოულრეინის მეთაურობით, რომელიც საქართველოში სტუმრად იყო.

აეროდრომზე ინგლისის პარლამენტის დელეგაცია გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლებმა.

საქართველოში ყოფნის დროს ინგლისის პარლამენტის წევრები გაეცნენ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას. იყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაეცნენ ქალაქ გორში, სადაც დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. გორის რაიონში ინგლისელი სტუმრები ეწვენ აგრეთვე სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. (საქდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

10 ოქტომბერს თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავმირის კულტურის სამინისტროს მოწვევით.

დელეგაციის მეთაურობს ცნობილი რეჟისორი და სცენარისტი ახმად აბასი. მისი დადგმულია ფილმები „დედამიწის შვილები“, „მოგზაური“ და სხვები. ახმად აბასი, კერძოდ, კინოფილმ „მაწანწალის“ სცენარის ავტორია.

დელეგაციაში შედიან ცნობილი მსახიობი ნარგეს ტა როი, რომელიც მთავარ როლებს ასრულებს ბევრ ფილმში, მათ შორის მხატვრულ კინოსურათებში „ორი ბიგხი მიწა“, „სინდბად ზღვაოსანი“, „ჭაშმარი“, „საწყალი“ და სხვა კინოსურათებში, წამყვანი მსახიობი ნარგიზ ფატმა რაშიდი, რომელსაც ფართოდ იცნობს საბჭოთა მაყურებელი ფილმ „მაწანწალის“ მიხედვით, სადაც იგი მთავარ როლს ასრულებს, ნიჭიერი რეჟისორი, ფილმების „ორი ბიგხი მიწის“, „თინამგზავრის“ და სხვების დამდგმელი ბიმალ როი, ცნობილი რეჟისორი და წამყვანი მსახიობი რაჯ კაპური, რომელიც „მაწანწალის“, „აცეცხლის“ და სხვა ფილმების დამდგმელი და მათი მთავარი როლების შემსრულებელია, ცნობილი რეჟისორი ჩეტან ანანდი, ისეთი კინოსურათების დამდგმელი, როგორიც არის „ჭარიშხალი“, „ნიჩა ნაგარი“, პოპულარული რეჟისორი და სცენარისტი, ფილმების „ბაიჯუ ბავრის“, „ზღაპრული ქვეყნის“, „სანსარ ლილას“ დამდგმელი ვიჯაია ბხატი.

დელეგაციის წევრებს შორის არიან რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ბალრაჯ სახნი, რომელიც გადაღებულია ფილმებში „ორი ბიგხი მიწა“, „მოგზაური“, „დედამიწის შვილები“ და სხვ. წამყვანი მსახიობი დევ ანანდი — მთავარი როლების შემსრულებელი 20-ზე მეტ ფილმში, კომპოზიტორი, ბევრი კინოფილმის მუსიკის ავტორი, მათ შორის „ორი ბიგხი მიწისა“ სალილ ჩოუდჰური, კომპოზიტორი ანილ ბისვასი, კინოოპერატორები ხრიშიკეს მუკერჯი და როდჰუ კარმაკარი, რომლებმაც გადაიღეს „ორი ბიგხი მიწა“, „მაწანწალა“ და ბევრი სხვა ფილმი, კინოფირმის „ჯ. ტ. ბრაზერსის“ მმართველი ტრიბჰუვანდასი ჯანი, ინდოეთ-ევროპის კინოგაერთიანების ფირმის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ქხანა.

აეროდრომზე ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეებს მხურვალე მიღება მოუწყეს. მათ შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე პ. მ. კანდელაკი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსი ლ. დ. ესაკია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ხორავა, საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარე ა. მ. ბალანჩივაძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ს. გვინჩიძე, კინორეჟისორები დ. ე. რონდელი და ნ. კ. სანიშვილი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ინდოეთის რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მოღვაწეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ა. ა. ხორავამ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ახმად აბასმა, რომელმაც მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის. მან ილაპარაკა აგრეთვე, თუ რა დიდ ინტერესს იჩენს ინდოელი ხალხი საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი, თუ როგორ მტკიცდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობა.

ახმად აბასმა შეკრებილთა ტაშის გრიალში გამარჯვება უსურვა საბჭოთა და ინდოელი ხალხების მეგობრობას. (საქდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

10 ოქტომბერს თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავმირის კულტურის სამინისტროს მოწვევით.

დელეგაციის მეთაურობს ცნობილი რეჟისორი და სცენარისტი ახმად აბასი. მისი დადგმულია ფილმები „დედამიწის შვილები“, „მოგზაური“ და სხვები. ახმად აბასი, კერძოდ, კინოფილმ „მაწანწალის“ სცენარის ავტორია.

მოყვანილი ციფრები მოწმობენ სსრ კავშირში შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფ ტემპებს. მაგრამ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების თვალსაზრისით შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შედეგმი გადიდებისათვის კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ სოციალიზმის პირობებში ძალას ინარჩუნებს ღირებულების კანონი. იგი ცხადყოფს ამ კანონის და მასთან დაკავშირებული ეკონომიური ინსტრუმენტების გამოყენების დიდ მნიშვნელობას სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, საწარმოს რენტაბელობის გადიდებისათვის. იგი ასაბუთებს, თუ რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალისტურ ეკონომიკაში საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც სოციალიზმის დროს პროდუქტების განაწილების ძირითად ფორმას წარმოადგენს, გვიჩვენებს ფულის ტრიალის, კრედიტის დიდ მნიშვნელობას.

ეკონომიური მეცნიერება გვიჩვენებს სოციალისტური რეპროდუქციის კანონზომიერებებს, ცხადყოფს, რომ სოციალისტური საზოგადოების პროგრესული განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს დაგროვების სისტემატური განხორციელება, ნაციონალური შემოსავლის სწორი განაწილება საზოგადოებრივი წარმოებისა და სახალხო მოხმარების განუწყვეტელი ზრდის ინტერესებისათვის.

პოლიტიკური ეკონომია ასაბუთებს კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებას ისტორიულ კანონზომიერებას, გვიჩვენებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კონკრეტულ გზებს. კომუნიზმი წარმოიშობა როგორც შედეგი მშრომელთა მილიონიანი მასების შეგნებული შემოქმედებისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. მასების საწარმოო აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა ყველაზე მკაფიო გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც სოციალისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

პოლიტიკური ეკონომია ეკონომიური კანონების ცოდნით აიარაღებს პარტიულ საბჭოთა. სამეურნეო კადრებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს. ჩვენს სახალხო ინტელიგენციას. იგი ეხმარება მათ ამაში, რომ აღმოაჩინონ და აამოქმედონ ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში მყოფი კოლოსალური ძლავრი ბანაკი, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება, ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს სოციალიზმის მშენებლობისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იმ პირობებთან შედარებით, რომლებშიც ჩაღდებოდა ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში. ცნობილია, რომ სსრ კავშირი დიდხანს წარმოადგენდა მსოფლიოში ერთადერთ სოციალისტურ რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირს დაჩქარებული ტემპებით უნდა შეექმნა მძიმე მრეწველობის ყველა დარგი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ განავითარონ ნებუსტრიის ის დარგები, რომლებისთვისაც მოცემულ ქვეყანაში ყველაზე ხელსაყრელი ეკონომიური და ბუნებრივი პირობენი, სოციალიზმის მთელი ბანაკის ქვეყნებს შორის შრომის უართო განაწილებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საფუძველზე.

პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ კოლონიურ, ნახევრადკოლონიურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც მოიცილებენ იმპერიალიზმის უღელს, შეუძლიათ სოციალიზმის ბანაკის მოწინავე ქვეყნების დახმარებით თანდათანობით გადავიდნენ სოციალისტური მშენებლობის გზაზე, ამასთან გვერდი აუარონ ძალიან ხანგრძლივ სტადიას — კაპიტალისტური განვითარების სტადიას. ეს დებულება დასტურდება საბჭოთა კავშირის პრაქტიკით, სადაც ეროვნული განაპირა მხარეების ჩამორჩენილმა ხალხებმა რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა დახმარებით მოახდინეს ნახტომი მეურნეობის პატრიარქალური და ფეოდალური ფორმებიდან სოციალიზმზე, გვერდი აუარეს კაპიტალიზმს.

თანამედროვე პირობებში განვითარების არაკაპიტალისტური გზით, მეურნეობის ნახევრადფეოდალური, ნახევრადკოლონიური ფორმებიდან სოციალიზმისაკენ მიდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთის რევოლუციის გამოცდილებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიური თეორია გვასწავლის, რომ კაპიტალისტური სისტემისაგან ჩამოშორებულ ყველა ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს სოციალიზმის ბანაკის ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ამ ბანაკში შემავალ ქვეყნებს შორის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება.

არკვევს რა კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული გარდუვალობის შინაგან მიზეზებს, პოლიტიკური ეკონომია გვაძლევს ერთი მხრივ კაპიტალიზმის ბანაკსა და მეორე მხრივ სოციალიზმის ბანაკს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის მეცნიერულ დასაბუთებას. იგი გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ბანაკში შემავალ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და საქმიანი თანამშრომლობა ურთიერთხელსაყრელობისა და სხვა ქვეყნების სამშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის.

IV.

სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის.

სოციალიზმის ეკონომიური კანონები, ისევე როგორც ყოველი სხვა საზოგადოებრივი ფორმაციის კანონები, ობიექტურ ხასიათს ატარებენ. ამ კანონების მოთხოვნათა უგულებელყოფა დაუსჯელად არ ჩაივლის, იგი გარდუვალად იწვევს სამეურნეო ცხოვრების მოშლას, წარმოშობს სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს. ეკონომიური კანონებით ობიექტური ხასიათის უარყოფა ნიშნავს ეკონომიური მეცნიერების ლიკვიდაციას და იწვევს ავანტიურიზმს პოლიტიკაში.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას არაჩვეულებრივ ზიანს აყენებს ეკონომიური კახოხების წინაშე ადამიანთა უძლურების აღიარება. კანონების ასეთი ფეტიშიზაცია წარმოადგენს კომუნისტურ მშენებლობაში თვითდინების თეორიულ დასაბუთებას.

სოციალიზმის ეკონომიური კანონების ცოდნა საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ სოციალისტურ მეურნეობაში მიმდინარე პროცესების თვით არსს, გამოვავლინოთ განვითარების ახალი, პროგრესული ტენდენციები, როცა ისინი ჯერ კიდევ ჩანასახშია, მეცნიერულად განვჭვრი

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება, გაემგზავრა ჩინეთის მთელ რიგ დიდ სამრეწველო და „ულტურულ" ცენტრებში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. მიკოიანი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. გ. თ. ალექსანდროვი, გაზეთ „ᲘᲐᲕᲓᲘᲡ" მთავარი რედაქტორი ამხ. დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ა. ფურცევა, უზბეკეთის სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ი. ს. ნასრიდინოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვ. პ. სტეპანოვი ჩავიდნენ ნანკინს, ნახეს ჩინელი ხალხის დიდი შვილის სუნ იატ-სენის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკეს მისი საფლავი.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია იყო ძმათა სასაფლაოზე, სადაც დაკრძალული არიან ჩინეთში ჩან კაი-შის ანტისახალხო რეჟიმის ბატონობის დროს დაღუპული რევოლუციონერები, და გვირგვინით შეამკო ძეგლი გმირებისა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლებას.

შანხაიში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ დაათვალიერა ნავსადგური და სახელმწიფო ბამბეულის ფაბრიკა № 1, სადაც დელეგაციის წევრები ესაუბრნენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს.

დელეგაცია იყო ხანჯოუში, რომელიც ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის კერაა. დელეგაციის წევრები ესაუბრნენ მუშებს, რომლებიც ისვენებენ ხანჯოუს დასასვენებელ სახლებში, დაათვალიერეს უძველესი ჩინური კულტურის თვალსაჩინო ძეგლები.

კანტონში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გაეცნო ქალაქის ცხოვრებას, დაათვალიერა კანტონის მიდამოების სახელმწიფო მეურნეობები, სადაც მოჰყავთ კაუჩუკოვანი მცენარეები, ბანანი და ანანასი.

ხანკოუში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გაეცნო ქალაქს და ამ სამუშაოებს, რომლებიც განახორციელა მოსახლეობამ, რათა თავიდან აეცილებინათ ქალაქის წალეკვის საშიშროება წყალდიდობის დროს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობასთან, ადგილობრივ სახელმწიფო და პარტიულ ხელმძღვანელებთან ყველგან განსაკუთრებული მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

10 ოქტომბერს საღამოს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში — ქალაქ პეკინში დაბრუნდა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, იყო კარლ-მარქს-შტადტის ოლქში.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციასთან ერთად კარლ-მარქს-შტადტის ოლქში ჩავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ამხ. ო. გროტეოლი.

დელეგაციამ დაათვალიერა ოლქის საწარმოები, მათ შორის გერმანია-საბჭოთა კავშირის აქციონერთა საზოგადოება „ვისმუტის" საწარმოები, და მონაწილეობა მიიღო „ვისმუტის" საწარმოების მუშათა მტინგში. ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ამხ. ო. გროტეოლმა სიტყვები წარმოთქვეს მუშათა მიტინგზე, რომელმაც გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების ნიშნით ჩაიარა.

საღამოს დელეგაცია დაესწრო კარლ-მარქს-შტადტის ოლქის საწარმოთა მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის კრებას კულტურის სასახლეში. ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ამხ. ო. გროტეოლმა წარმოთქვეს სიტყვები. კრების მონაწილეები მათ ოლტაცებით შეხვდნენ.

შემდეგ მთავრობის დელეგაცია დაესწრო მუშათა თვითმოქმედების კონცერტს.

ვიეტნამის სახალხო არმია ხანოიში შედის

შანხაი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 8 ოქტომბერს დილის 9 საათიდან ვიეტნამის სახალხო არმიის რეგულარულმა ნაწილებმა დაიწყეს წინსვლა ხანოის მიმართულებით, დღის 3 საათზე ისინი მიუახლოვდნენ ლა-ტანის ჭიჩის გზაჯვარედინს (დიკი) ქალაქის გადაცემის შემუშავებული გეგმის შესაბამისად. დღეს დილის 5 საათზე ვიეტნამის სახალხო არმიის მეკავშირე ოფიცრები შეხვდნენ საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების მეკავშირე ოფიცრებს ლა-ტანის ჭიჩის ცალკეულ პუნქტებში, რათა მოემზადებინათ საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების ევაკუაცია დედაქალაქიდან. ეს ევაკუაცია დაიწყო დღეს დილის 6 საათზე და დამთავრდება საღამოს 5 ან 6 საათზე. 10 ოქტომბერს საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების ევაკუაცია მოხდება ჟია-ლამის რაიონიდან. ამრიგად, 10 ოქტომბრის დამლევს ვიეტნამის სახალხო არმია მთლიანად დაიკავებს დედაქალაქსა და მის მიდამოებს.

დედაქალაქისაკენ წინსვლის დროს ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებს გულთბილად ხვდებოდა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა. ეს შეხვედრები ხშირად იქცეოდა დემონსტრაციებად და არმიისა და ხალხს სასიხარულო დღესასწაულად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

გენერალური ასამბლეის პოლიტიკური და სპეციალური პოლიტიკური კომიტეტების სხდომები

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაიწყეს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა და სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტებმა. ამ კომიტეტების სხდომებზე აირჩიეს კომიტეტთა ვიცე-თავმჯდომარეები და მომხსენებლები. პოლიტიკური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ არჩეულია კანადის წარმომადგენელი ჯონსონი, მომხსენებლად — შვეიცარის წარმომადგენელი ტორანგი. სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ არჩეულია ბელგიის წარმომადგენელი ნისო, მომხსენებლად — თურქეთის წარმომადგენელი დერინსუ.

სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა მის დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხთა განხილვის რიგი. პირველ პუნქტად კომიტეტი განიხილავს ბირმის საჩივარს გომინდანელთა აგრესიული მოქმედების გამო.

პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგში შეტანილი საკითხები განიხილოს შემდეგი წესით: 1. „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და შეფარდებითი შემცირება" — განიარაღების კომისიის მოხსენება. 2. „შეიარაღების შემცირებისა და ატომის, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადება" — პუნქტი, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა. 3. მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად" — კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის მოხსენება. 4. „საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში" — პუნქტი, რომელიც ამერიკის დელეგაციამ შეიტანა. 5. „დასავლეთ ირიანის (დასავლეთი ახალი გვინეა) საკითხი". 6. „ირის საკითხი" — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენება. 7. „ტუნისის საკითხი". 8. „მაროკოს საკითხი". 9. „კუნძულ კვიპროსის მოსახლეობის მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობით ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების პრინციპის გამოყენება".

როცა დაიწყეს ბრაზილიის დელეგაციის წინადადების განხილვა იმის შესახებ, რომ მეოთხე პუნქტად განეხილათ ამერიკის წინადადება — „საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში", სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ, რომელმაც წინადადება შეიტანა, რომ აღნიშნული საკითხი, როგორც უფრო დიდმნიშვნელოვანი, დღის წესრიგის მეოთხე ადგილიდან გადატანილ იქნას მესამე ადგილზე.

ამერიკის წარმომადგენელმა ლოჯმა გაილაშქრა საბჭოთა დელეგატის ამ წინადადების წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ, როგორც მან გამოთქვა, „საჭიროა დრო, რათა მომზადებულ და შესწავლილ იქნას" ეს საკითხი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ, განმარტა რა თავისი წინადადების მოტივები, განაცხადა, რომ მას საფუძვლად უდევს პრინციპი, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა განხილულ იქნას დიდმნიშვნელოვანი საკითხები. გარდა ამისა, სსრ კავშირის დელეგაციას, თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, მიაჩნდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე დიდი ხანია მოამზადეს ეს საკითხი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ უკვე არის წინადადებათა მთელი სისტემა ამ საკითხზე და საჭირო იყო გაეცნობოდით მათ რაც შეიძლება მალე და მიგვეღწია შეთანხმებული გადაწყვეტილებებისათვის. ამიტომ ძნელი გასაგებია, თუ რატომ ილაშქრებენ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატები და ზოგიერთი სხვანი ჩვენი წინადადების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, თქვა დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ არ არიან მზად განიხილონ თავისი საკითხი, საბჭოთა დელეგაცია არ მოითხოვს მისი წინადადების მიღებას.

ამრიგად, ეს პუნქტი დარჩა მეოთხე პუნქტად კომიტეტის დღის წესრიგში.

პირველი პოლიტიკური კომიტეტი და სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი მუშაობას განაგრძობენ 11 ოქტომბერს.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ლომით საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დამთავრდა ლონდონის თათბირის შედეგებისა და დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ ცხრა სახელმწიფოს მოლაპარაკებაში საფრანგეთის მთავრობის პოზიციის განხილვა. კამათმა ცხადყო, რომ სულ უფრო იზრდება საფრანგეთის საზოგადოებრიობის შეშფოთება გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის საფრთხის გამო, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პარლამენტის ბევრი დეპუტატის პოზიციაში.

კამათის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა მთავრობის მეთაურმა მენდეს-ფრანსმა, რომელმაც პასუხი გასცა დეპუტატთა ზოგიერთ შეკითხვასა და კრიტიკულ შენიშვნას. მან აღიარა: იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ინგლისის მონაწილეობა გათვალისწინებულ ბრიუსელის სისტემაში, საფრანგეთი იძულებული გახდა ზოგი რამ დაეთმო.

შეეხო რა გერმანიის გაერთიანების საკითხს, მენდეს-ფრანსმა განაცხადა, რომ ძნელია ამ გაერთიანების პირობების გათვალისწინება.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოლაპარაკების საკითხზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ იგი არაფერს არ უგულებელყოფს, რასაც შეუძლია განამტკიცოს მშვიდობა.

მთავრობის მეთაურმა დეპუტატებს მოსთხოვა მოიწონონ მისი მოქმედება ლონდონის თათბირზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის მიმართვა ხანოის მოსახლეობისადმი

შანხაი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგცემს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ხანოის განთავისუფლების გამო პრეზიდენტმა ხო ში მინმა წერილით მიმართა მოსახლეობას.

„რვა წლის წინათ, — ნათქვამია წერილში, — მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა დედაქალაქი, რათა ეწარმოებინა ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის...

დღეს ჩვენი ხალხის სოლიდარობისა და ჩვენი არმიის გმირული ბრძოლის მეოხებით აღდგენილია შვიდობა, და მთავრობა ბრუნდება თქვენთან დედაქალაქში. ჩვენ ერთი ოჯახის წევრები ვართ, და ჩვენი სიხარული უსაზღვროა.

მთავრობის სახელით გულწრფელად გილოცავთ ჩვენს თანამემამულეებს".

ხო ში მინმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობას მოუწოდა მთავრობასთან ერთად იბრძოლოს ხალხის ცხოვრებისა და კულტურული დონის ასამაღლებლად, დაიცვას წესრიგი და უზრუნველყოს უშიშროება, გახდეს „შრომისმოყვარეობის, მომჭირნეობის, სამართლიანობისა და პატიოსნებისათვის მოძრაობის ინიციატორი".

„პოლიტიკურ დარგში, — ნათქვამია წერილში, — კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დავირაზმოთ და განვახორციელოთ დემოკრატიული თავისუფლებანი. ყველამ თავისი ნაჭი უნდა გამოიყენოს დედაქალაქის განვითარებისა და მშვიდობისმოყვარე, ერთიანი დამოუკიდებელი და დემოკრატიული ვიეტნამის მშენებლობისათვის"...

ჩვენი მთავრობა სახალხო მთავრობაა, რომელს ერთადერთი მიზანი ის არის, რომ ხალხის ინტერესებს ემსახუროს. მთავრობას იმედი აქვს, რომ ჩვენი თანამემამულენი დაეხმარებიან, გაამხნევებენ და რჩევა-დარიგებას მისცემენ, აგრეთვე გააკრიტიკებენ მას, რათა შეძლოს განახორციელოს ხალხისათვის პატიოსანი და ერთგული სამსახური ამოცანა.

გაუმარჯოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს ხანოის!

გაუმარჯოს მშვიდობას, ერთიანობას, დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას ვიეტნამში!

ალბანეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავის აღსანიშნავად

ტირანა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ალბანეთის მშრომელები აქტიურად ემზადებიან ფაშისტი ოკუპანტებისაგან ალბანეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავის შესახვედრად. მთელ ალბანეთში ფართოდ გაზაღდა მასობრივი შრომითი შეჯიბრება. საწარმოთა, ახალშენებათა, დაწესებულებათა კოლექტივები ყოველდღე იუწყებიან, თუ რა ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად. ტირანის ენერგო ხოჯას სახელობის ლითონდამამუშავებელი ქარხნის მუშებმა მესამე კვარტალის გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს, ხოლო სექტემბრის გეგმა 110 პროცენტით. ამ საწარმოს ხარტი მინა შინაო წარმოების საბჭოთა ნოვატორების მოწინავე მეთოდების გამოყენებით 200 და მეტი პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმებს. ქალაქ სტალინის ნავთსაწმენდი ქარხნის კოლექტივმა 150 პროცენტით შეასრულა სექტემბრის გეგმა. ერთ-ერთი დიდი ახალშენების — ცერიკის ნავთსახდელი ქარხნის მშენებლებმა ვადაზე 12 დღით ადრე შეასრულეს თვიური დავალება. ქალაქ ელბასანის სამრეწველო საწარმოებმა 100,7 პროცენტით შეასრულეს სექტემბრის გეგმა.

პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გადიდეს კვების მრეწველობის საწარმოებმაც. ამ საწარმოებმა სექტემბრის გეგმა 12 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო დურესის მაკარონის ფაბრიკამ — 14 პროცენტს გადაჭარბებით.

საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებას იტყობინებიან აგრეთვე ალბანეთის სხვა საწარმოები.

სიკვდილი მიუსაჯეს ირანის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ფაგჰემის

ლონდონი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, სამხედრო სასამართლომ მოსადიკის მთავრობის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰოსეინ ფატემის სიკვდილი მიუსაჯა. ფატემმ დაუყოვნებლივ გაასაჩივრა განაჩენი.

სპორტის ამაგეგი

★ ★

საქართველოს ჭაგუკმა ფეხბურთელებმა პრიზი მოიპოვეს

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის პირველობისა და თასის გათამაშების მატჩებთან ერთად დედაქალაქის სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ჭაბუკ ფეხბურთელთა ახპარეზობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზის მოსაპოვებლად.

ეს შეჯიბრება წარმოადგენს ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლების ნაკრები კოლექტივების შემოწმებას და მიზნად ისახავს მოზარდ ფეხბურთელთა შემდგომ დაოსტატებას.

გათამაშების დაწყებამდე გაიმართა ამხანაგური შეხვედრები, დაკომპლექტდა ფეხბურთის სკოლების ნაკრები გუნდები მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ბელორუსიასა და საქართველოში.

საქართველოს გუნდმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე) ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა, როგორც ძლიერმა კოლექტივმა. მოზარდმა ფეხბურთელებმა გამოამჟღავნეს მაღალი ტექნიკური თამაში, კარგი ფიზიკური მომზადება.

პრიზის მოსაპოვებლად გამართული ბრძოლა მიმდინარეობს წრიული სისტემით ერთ წრედ. როგორც ვიუწყებოდით, პირველი სამი მატჩიდან საქართველოს გუნდმა 6 ქულა შეაგროვა — მოუგო მოსკოვის გუნდს ანგარიშით 1:0, ლენინგრადელ ფეხბურთელებს 1:0 და უკრაინის გუნდს 5:0.

10 ოქტომბერს ჩვენი რესპუბლიკის გუნდი შეხვდა მინსკის სპორტსმენთა კოლექტივს. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 2:2. როგორი ანგარიშითაც უნდა დამთავრდეს კიევისა და ლენინგრადის, აგრეთვე მინსკისა და მოსკოვის გუნდების უკანასკნელი მატჩები, რომლებიც 13 ოქტომბერს გაიმართება, საქართველოს გუნდს 4 თამაშიდან შეგროვებული 7 ქულით (ბურთების შეფარდება 9:2) უზრუნველყოფილი აქვს პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზი.

სურათზე: საქართველოს ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის ნაკრები გუნდი. ზევით — გუნდის მწვრთნელი ა. კიკნაძე.

მოსკოვის „დინამო" — სსრ კავშირის ჩემპიონი

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის XVI ჩემპიონატის მორიგი ახპარეზობა ფეხბურთში, თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა" და მინსკის „სპარტაკის" გუნდები.

ორივე გუნდისათვის ეს იყო მიმდინარე ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი. თამაში მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, მოსკოვის „დინამომ" 24 თამაშიდან შეგროვებული 35 ქულით (ბურთების შეფარდება 44:20) მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონის წოდება.

მეორე ადგილზე იმყოფება მინსკის „სპარტაკი", რომელმაც 30 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. 22 თამაშიდან შეგროვებული 27 ქულით მესამე ადგილზეა დედაქალაქის „სპარტაკი".

XVI ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 თამაში დარჩა, რის შემდეგ საბოლოოდ განაწილდება ადგილები.

შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე თანამედროვე ხუთჭიდში

ბუდაპეშტი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ერკენში, 60 კილომეტრზე ბუდაპეშტიდან, დაიწყო მეხუთე შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ფინეთის, შვეიცის, შვეიცარიის, ავსტრიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და უნგრეთის გუნდები. შეჯიბრებაში პირად პირველობაზე მონაწილეობს აგრეთვე დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელი.

ცხენოსანთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა შვეიცარიის გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 3.367,5 ქულა, მეორე ადგილი — უნგრეთის გუნდმა (3.325 ქულა), მესამე ადგილი — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა (3.100 ქულა). საბჭოთა კავშირის გუნდმა დაიკავა მერვე ადგილი. მან მოაგროვა 2.042,5 ქულა.

დღეს გაიმართება შეჯიბრება ფარიკაობაში.

საბჭოთა კალათბურთელები ეგვიპტეში

პორტ-საიდი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პორტ-საიდში გაიმართა უკანასკნელი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა და ეგვიპტელ კალათბურთელებს შორის. თბილისის „დინამოს" გუნდის სპორტსმენები კვლავ შეხვდნენ ეგვიპტის პირველ ნაკრებ გუნდს. თამაში მიმდინარეობდა სწრაფი ტემპით და ხშირი იყო ორმხრივი მძაფრი შეტევები. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 63.51.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ეგვიპტეში მოაწყეს ხუთი ამხანაგური შეხვედრა ეგვიპტის პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებთან. ხუთსავე შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მაყურებლები გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა სპორტსმენებს.

ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ლენინგრადი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ფინეთისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადის ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

მსოფლიო პირველობა ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲐᲒᲔᲒᲘ

ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲑᲝᲜᲘ

ვენა, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ვენაში დაიწყო მსოფლიო პირველობის გათამაშება შტანგში. შეჯიბრების პირველ დღეს გამოვიდნენ ათი ქვეყნის მჭატე წონის შტანგისტები.

ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლამ ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენ ფარხუტდინოვსა და ამ წონითს კატეგორიაში არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონის ირანელ ნამდიფს შორის თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო.

კლასიკური სამჭიდის პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში ფარხუტდინოვმა ასწია 100 კილოგრამი სიმძიმე. ნამდიფს შედეგია — 92,5 კილოგრამი.

ატაცში ორივე მოწინააღმდეგე გვიჩვენებს ერთნაირ შედეგებს — 95 კილოგრამს.

მესამე მოძრაობის — აკვრის შესრულების დროს ირანელი იწყებს 120 კილოგრამით. ფარხუტდინოვმაც ასწია ეს სიმძიმე. ნამდიფს ორი ცდა — აკვრა 127,5 კილოგრამი, არ მოხერხდა.

ამრიგად, მჭატე წონაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა სსრ კავშირის გუნდის წარმომადგენელმა ბაქირ ფარხუტდინოვმა, რომელმაც სამჭიდში შეაგროვა 315 კილოგრამი და გაიმეორა მსოფლიო რეკორდი, რომელიც დაამყარა ნამდიფმ 1951 წელს. მეორე ადგილზეა ნამდიფ (ირანი) — 307,5 კილოგრამი, მესამეზე — მირზახი (ირანი) — 302,5 კილოგრამი (95;90;117,5).

მაყურებელთა ტაშის გრიალში ბაქირ ფარხუტდინოვს გადაეცა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. ნამდიფმ მიიღო ვერცხლის მედალი, მირზახიმ — ბრინჯაოს მედალი.

ფარხუტდინოვმა მიიღო აგრეთვე ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ვენა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საშუალო წონის შტანგისტთა შორის მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებაში პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა ტომი კონომ (ამერიკის შეერთებული შტატები). ულიმპიურ სამჭიდში მან უჩვენა შედეგი 435 კილოგრამი (140—აჭიმვა, 122,5—ატაცი, 172,5—აკვრა). სამჭიდსა და აკვრაში მან ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარა. მეორე ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ტროფიმე ლომაკინმა (სსრ კავშირი). მისი შედეგია 427,5 კილოგრამი (137,5; 130; 160). მესამე ადგილზეა ჟან დენიუფი (საფრანგეთი) — 405 კილოგრამი.

ვენა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მიმდინარეობდა ქვემძიმე წონის შტანგისტთა შეჯიბრება. შეჯიბრებას ამ წონაში დიდი ინტერესით ელოდნენ, რადგან აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა სპორტსმენი ვორობიოვი და ამერიკელები ემრიჩი და შეპარდი. ამ შეხვედრის შედეგზე დიდად იყო დამოკიდებული გუნდური პირველობის ბედი: ამერიკელები ვარაუდობდნენ დაეკავებინათ პირველი ადგილი ამ წონითს კატეგორიაში და მძიმე წონაში (სადაც საბჭოთა სპორტსმენები არ მონაწილეობენ) და ამრიგად მოეგროვებინათ 16 ქულა, რათა გაესწროთ სსრ კავშირის გუნდისათვის, რომელსაც ამ დროისათვის ჰქონდა 24 ქულა.

მაგრამ ვორობიოვმა გაამთელა ეს ვარაუდები და მტკიცედ მოიპოვა პირველობა თავის წონითს კატეგორიაში, აჩვენა კლასიკური სამჭიდში 460 კილოგრამი და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, რომელიც 15 კილოგრამით აღემატება ამერიკელ შემანსკის რეკორდს. ვორობიოვის ცალკეული შედეგებია: აჭიმვა — 142,5 კილოგრამი, ატაცი — 142,5 კილოგრამი, აკვრა — 175 კილოგრამი. ვორობიოვის შედეგი ატაცში საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდია, რომელიც აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

მეორე ადგილზეა შეპარდი — 440 კილოგრამი (130; 142,5 და 167,5).

საბჭოთა კავშირის ძალოსანთა გუნდმა მოაგროვა 29 ქულა და მძიმე წონის შტანგისტთა შეხვედრის შედეგების მიუხედავად, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები არ მონაწილეობენ, განიმტკიცა გამარჯვება.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲪᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. აქ გაიმართა პირველი ნახევარფინალური შეჯიბრება ერევნის „სპარტაკისა" და დნეპროპეტროვსკის „მეტალურგის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 4:0.

ამრიგად, ერევნის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი ფინალში გავიდა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ᲫᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

13 ოქტომბერს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ"

(ოსტატები)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ

(ოსტატები)

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 16 ს. და 30 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ მოსახლეობისაგან იძენს ქართულ ქამრებსა და ხანჯლებს. მსურველებმა უნდა მიმართონ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის (ბლეხანოვის პროსპ. № 123, დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲠᲔᲡᲢᲘ „ᲡᲐᲥᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ" აცხადებს, რომ წლიურ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით საწყობებიდან მასალებისა და საქონლის გაცემა შეწყვეტილი იქნება 23 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

შვილი დავით, რძალი ელენე, შვილიშვილები თენგიზ, ივეტა ყიფიანები იუწყებიან ანეტა ნიკოლოზის ასულ ჩხეიძე-ყიფიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-X, 8 ს. გამოსვენება 14-X, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 28.

მეუღლე ლილი, შვილები გურამ, ჯემალ, ძმა მიხეილ, დი ლიდა, ბიძები ოთხეს, ალექსანდრე გუგუნავები ოჯახებით იუწყებიან ევგენი პროკოფის-ძე გუგუნავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-X, 8 ს. კლარა ცეტკ